სასტუმროს/ბალნეოლოგიური კურორტების (NACE კოდები: 55.10.1; 55.10.2) მინიმალური კრიტერიუმები და სასტუმრო/ბალნეოლოგიურ კურორტების ინდუსტრიასთან დაკავშირებული სერვისები

1. სასტუმროს მინიმალური კრიტერიუმები

ახალი სასტუმროს მშენებლობის შემთხვევაში – მინ. 10 ნომერი ან არსებული სასტუმროს გაფართოებისას/ გადაიარაღებისას სავალდებულოა სასტუმროს მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილება.

- **სასტუმროს ნომერი:**

სასტუმროს უნდა ჰქონდეს 1-ოთახიანი ან მრავალოთახიანი ნომრები:
ა) 1-ოთახიანი ნომერი – 1-ადგილიანი ან 2-ადგილიანი – არანაკლებ 18 კვ.მ, მათ შორის – სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 4 კვ. მ-ისა;
ბ) მრავალოთახიანი ნომერი (აპარტამენტი) 2-ადგილიანი ან 2+ ადგილიანი – თითოეულ სტუმარზე არანაკლებ 8 კვ. მ-ისა, მათ შორის – სააბაზანო/სანიტარიული კვანძის ფართობი არანაკლებ 2 კვ. მ-ისა.

- **ბავშვის დამატებითი ლოგინი/EXREA BED:**

ნომრებში გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საწოლის ჩამატების შესაძლებლობა.

- **ლიფტი – თუ შენობა 2-ზე მეტსართულიანია:**

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიფტი არაეფექტურია ტექნიკურ-ეკონომიკური და ესთეტიკური თვალსაზრისით და არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირობა (რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისიდოკუმენტაციით):
ა) შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული მახასიათებლებიდან გამომდინარე, სალიფტე შახტის შესრულება შეუძლებელია;
ბ) შენობა-ნაგებობა განლაგებულია ისეთ რთულ რელიეფზე (ფერდობზე, ტერასაზე და სხვა), რომელიც არ იძლევა სალიფტე შახტის შესრულების საშუალებას;
გ) არ შეესაბამება შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო და საყოფაცხოვრებო ნორმებს;
დ) თუ შენობა-ნაგებობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და მისი ადაპტაცია გამოიწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიკური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას.

- **სანიტარიული კეთილმოწყობა და ელექტრომომარაგება:**

ა) გარე განათება;
ბ) შენობის შიდა ფართობის განათება;
გ) საშხაპე/აბაზანა, ხელსაბანი, უნიტაზი;
დ) სასტუმრო ოთახ(ებ)ისა და სანიტარიული კვანძის სათანადო განათება და ელექტრომომარაგება.

- **ხმაურის კონტროლი/ჰაერის კონდიცირება:**

ა) ნომერში არანაკლებ ერთი ფანჯრისა ბუნებრივი განათებისათვის (ხმაურდამცავი მინაპაკეტით);
ბ) ოთახების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა), აღჭურვილი ინდივიდუალური მართვის საშუალებებით;
გ) დამხმარე ოთახებისა (საჭიროების მიხედვით) და საზოგადოებრივი ადგილების ცენტრალური ან/და ინდივიდუალური კონდიცირება (გათბობა/გაგრილების სისტემა).

- **უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნა:**

ა) ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია ქართულ და უცხო ენებზე;
ბ) საევაკუაციო სქემა სტუმრისთვის თვალსაჩინო ადგილას.

- **უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნა:**

ა) სასტუმროსთან ეტლით მისასვლელი პანდუსი;
ბ) შენობის შიგნით შეუფერხებელი გადაადგილება;
გ) ლიფტით, ეტლით გადაადგილება;
დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასტუმროში განთავსების საშუალება.

- **სტუმართა რეგისტრაცია (რეცეფცია):**

ა) განცალკევებული, დამოუკიდებელი რეგისტრაციის ადგილი;
ბ) მინიმუმ სამადგილიანი მოსასვენებელი რეცეფციასთან;
გ) სანიტარიული კვანძი მისაღებ სივრცეში.

- **კვების ობიექტი:**

სასადილო ან რესტორანი.

2. სასტუმროს/ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიასთან დაკავშირებული სერვისები (აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობები შესაძლოა, განხორციელდეს ასევე, სასტუმროს გაფართოების/გადაიარაღების მიზნობრიობით სესხით/სალიზინგო პროექტით სარგებლობის შემთხვევაშიც)

I 55.2	დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები
I 55.9	სხვა განთავსების საშუალებები
I 56.10.0	რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები
J 59.14.0	კინოფილმების ჩვენება
R 90.0	შემოქმედებითი, სახელოვნებო და გასართობი საქმიანობები
R 91.0	ბიბლიოთეკების, არქივების, მუზეუმებისა და კულტურის სხვა დაწესებულებების საქმიანობები
R 93	საქმიანობები სპორტის, გართობისა და დასვენების სფეროში
S 96.01	ტექსტილისა და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა
S 96.02	საპარიკმახეროებისა და სხვა სილამაზის სალონების მომსახურება
S 96.04	გამაჯანსაღებელი საქმიანობები
S 96.09	სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი